ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 381

„25" ნოემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

შპს „მთაწმინდის პარკის" (ს/კ: 204547641) ლიკვიდაციის პროცესის შეწყვეტისათან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი 9[1] მუხლის მე-5 პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „შპს „მთაწმინდის პარკის" (ს/კ: 204547641) ლიკვიდაციის პროცესის შეწყვეტის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის თანხმობის მისაღებად წარდგენისა და შპს „მთაწმინდის პარკის" (ს/კ: 204547641) ლიკვიდაციის პროცესის შეწყვეტის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 16 ნოემბრის №44.15.939 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს და თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „მთაწმინდის პარკის" (ს/კ: 204547641) ლიკვიდაციის პროცესის შეწყვეტის თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**